# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ორშაბათი, 27 აპრილი · 1998 №61 (596) · ფასი 30 თეთრი


საქართველოს თასის საპასუხო ნახევარფინალი

# თსუ 1:3 ბათუმი
# დილა 1:3 დინამო

გორი
ცენტრალური
26 აპრილი

**დილა 1:3 დინამო**

**პირველი მატჩი 2:1**

**დილა:** გ. ჭანტურია, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, შატაკიშვილი (მარეხაშვილი 71), ციცქიშვილი (კაიდარაშვილი 65), მარლიშვილი, ხორგუაშვილი, გ. ჩიტაია
**დინამო:** ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, ცქიტიშვილი, კვარაცხელია (წიტაიშვილი 46), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია (პეტრიაშვილი 88), მუჯირი, ხომერიკი (ლ. ბურდული 86)
0:1 აშვეთია (55), 0:2 რევაზიშვილი (61 ს.კ.), 1:2 კაიდარაშვილი (75), 1:3 ხომერიკი (81)
**გაფრთხილება:** ალექსიძე, ლობჟანიძე, ჩიტაია, გუჩუა
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

## სასწაული ერთხელ ხდება

მატკივრები და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. ორგანიზაციული თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იყო. ქართლელებს უმნიშვნელო დეტალებიც კი გაეთვალისწინებინათ და ამიტომ რაიმე ექსცესიც გამორიცხული გახლდათ. შეიძლება, ვინმე შემომედაოს, აბა, შილაკაძემ თამაში ხუთი წუთით რად შეწყვიტაო, მაგრამ ეს იმ დროს მოხდა, როცა ყველაფერი გარკვეული გახლდათ. მაყურებელმა მინდორზე ორიოდ საგანი ისროლა. ნერვებმოშლილი გულშემატკივარი თავად გორელმა ფეხბურთელებმა და კობა ახალკაცმა დააწყნარეს.

„დილას" უკეთ თამაში შეეძლო, მით უმეტეს, მშობლიურ სტადიონზე, მაგრამ „დინამო" ხომ გაცილებით გამოცდილი და მრავლისმნახველი გუნდია. გორელებს დიახაც ერჩივნათ, მეორედაც თბილისში ეთამაშათ. გადაჭედილ სტადიონზე, როცა შენი გულშემატკივარი მოგებას გთხოვს, ძნელია თამაში. მასპინძლებმა სწორედ ფსიქოლოგიური ბარიერი ვერ დაძლიეს. ბიჭებს ნერვიულობა ეტყობოდათ.

ერთიცაა „დილას" ამგვარ მატჩებში თამაშის გამოცდილება არ გააჩნდა. ყველაფერი ერთმანეთს მიემატა და სტუმრებმა გამარჯვება იზეიმეს. თავად „დილას" ფეხბურთელებმა აღიარეს დინამოელთა უპირატესობა და საფინალო სასტვენის შემდეგ მეტოქეს ფინალში გასვლა კაცურად მიულოცეს, თვალსმომდგარი ცრემლები შეიკავეს და თავი გასახდელს შეაფარეს.

თამაში სტუმრებმა ფრთხილად, დაცვიდან დაიწყეს. მასპინძლებს ეს აწყობდათ, შეტევით თავი არ მოუკლავთ, მაგრამ დაწინაურება მეორე წუთზევე შეეძლოთ. შატაკიშვილმა მარლიშვილი ზოიძესთან პირისპირ გაიყვანა. თავდამსხმელი წამით შეყოვნდა და მეკარემაც ივაჟკაცა. მოშხდურს ბურთი ფეხებიდან აართვა. პირველ ტაიმში ძირითადად ხისტი, თანაბარი ბრძოლა იყო. ჭანტურიაც ერთხელ შეწუხდა, როცა კვარაცხელიას ძლიერი დარტყმული კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმი კი „დინამოსი" იყო. შეცვლაზე შესულმა წიტაიშვილმა მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა. აშვეთიაც ათამაშდა და საქმეც აეწყო. მიხომ ბურთი საჯარიმოს კიდესთან მოიგდო. მცველი სისწრაფეში დაჯაბნა და ჭანტურიას მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა. ამას ხუთ წუთში მეორე გოლი მოჰყვა. ხომერიკმა სტუმართა საჯარიმოში ბურთი კარის წინ მიიღო, გაექცა, მაგრამ ბრძოლა განაგრძო და ჭიდილში რევაზიშვილის უხერხულად მოგერიებული ჭანტურის კარის ბადეში აღმოჩნდა. თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ასევე შეცვლაზე შესულმა კაიდარაშვილმა გორელებს იმედი ჩაუსახა. „დილამ" კუთხური გაითამაშა, რაც საჯარიმოში ჩაკიდებით სრულდებოდა. მეკარემ და მცველმა ბურთი ვერ გაიყვეს, ალეკომ კი შანსი გამოიყენა. მისი დარტყმული უნაკლო იყო. კაიდარაშვილს შეეძლო გორელთა გმირიც გამხდარიყო. ეს მაშინ, როცა მინდვრის ცენტრში გუჩუას ბურთი აართვა, ხორგუაშვილთან გაითამაშა და ზოიძესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ააცილა.

თითქოს დამატებით დროს არც არაფერი ედგა წინ, მაგრამ წიტაიშვილი ფლანგზე კიდევ ერთხელ გაიქცა და საჯარიმოში სახიფათოდ ჩააწოდა. აშვეთიას თავურს ჭანტურია კი გაუმკლავდა, მაგრამ ხომერიკისას ვერაფერს მოუხერხებდა.

ბოლოს მსაჯებზეც ვთქვათ. შილაკაძეს არავიზე ნაკლები უნერვიულია. თუ ორიოდ უმნიშვნელო შეცდომას არ ჩავთვლით, ყველა მისი მოქმედება დამაჯერებელი იყო. უშეცდომოდ იმსაჯეს დოლიძემ და კახიანმაც. სოსოს სულაც ფეხი სტკიოდა, ხაზზე მოძრაობა უჭირდა და შესვენებაზე გამაყუჩებელი ნემსიც გაუკეთეს, მაგრამ ხელი არ შეტოკებია. თანამსაჯს ფეხი ავტობუსიდან ჩამოსვლისას ულრძვია. მისი მეოთხე მსაჯით შეცვლაც შეიძლებოდა, მაგრამ კახიანმა ტკივილს გაუძლო. პირველი ტაიმის შემდეგ არბიტრის გამოცვლა საეჭვოდ არავინ მიიღოს და მითქმა-მოთქმა არ დაიწყოსო.


ხომერიკის დარტყმული რევაზიშვილს (მარჯვნივ) კარში ჩაეჭრა

### მამუკა კვანტალიანი გორიდან

— სასწაული ცხოვრებაში ალბათ ერთხელ ხდება — თბილისში ჩვენი გამარჯვებაც სასწაული იყო. დღეს მისი განმეორება ვერ შევძელით, ვერ ვივარგეთ. ამ თამაშმა მთელი ჩვენი ენერგია წაიღო. არადა, საბოლოო მიზანთან ახლოს ვიყავით — ეს სიტყვები თამაშის შემდეგ „დილას" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, კობა ახალკაცმა გვითხრა. გორელთა გასახდელში ნამდვილი გლოვა იყო — სამარისებური სიჩუმე, ცრემლჩამდგარი თვალები და ჩაქინდრული თავები.

გორი ამ მატჩისთვის დიდი ხანი ემზადა. ემზადებოდნენ ფეხბურთელები, გულშე-

---

მცხეთა
„არმაზი"
26 აპრილი

**თსუ 1:3 ბათუმი**

**პირველი მატჩი 1:0**

**თსუ:** გ. დოლიძე, ვერემჩუკი, კობიაშვილი, კვიტატიანი, კ. მელქაძე, გემეზაშვილი, მაზიაშვილი (შალამბერიძე 73), როსტიაშვილი, ყოლბაია, გიორგი ქორიძე, რუსია
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭველიშვილი, მაჭუტაძე (ყულეჯიშვილი 83), კანტიძე (ღლონტი 73), ზირაქიშვილი (აფხაზავა 80)
0:1 ჭიჭველიშვილი (19), 1:1 რუსია (52), 1:2 სიჭინავა (77), 1:2 ყულეჯიშვილი (90)
**მსაჯი:** ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

## მსაჯს ტყუილად არ შეცვლა

მცხეთაში სავსე სტადიონით, საკლუბო დროშებით, დოლით და თეფშებით, ნახევარტრიბუნიანი ტალღებით დაუხვდნენ.

დასაწყისი თბილისელთა წინასამატჩო განწყობა-ხასიათს ეხმებოდა. მესამე წუთზე სტუმართა კარისკენ დანიშნული ჯარიმისას კობიაშვილი პირისპირ დარჩა ტოგონიძესთან, მაგრამ დარტყმას აზრიც აღარ ჰქონდა — „ბათუმმა" ხელოვნური თამაშგარე, თუმცა კი რისკიანად, ზუსტად შეასრულა.

თსუ-ს ცენტრალური მცველი თენგიზ კობიაშვილი მეტოქის კარს ერთხელაც დაემუქრა. რუსიამ შეყილაძეს ფლანგური ჯარიმა რომ აჰკიდა, მაზიაშვილის ჩაწოდება კობიმ თავით კარსზემოთ გადააცილა.

ექვსი წუთით დაშორებულ საწყის ორ ეპიზოდს შუა „ბათუმმაც" შეუტია, მაგრამ საჯარიმოს გარეთ დროულად გამოჭრილმა გუბაზ დოლიძემ ვანო მახარაძის ჩაწოდება თამამად ჩაჭრა.

პირველი ნახევრის პირველი მესამედი რომ მიილია, კანტიძემ მინდვრის ცენტრში მაზიაშვილს გვერდი ოსტატურად აუარა, თსუ-ს საჯარიმოს მიახლოებულმა შორიდანვე დაჰკრა, მაგრამ კარს ზემოთ ააცილა.

მეცხრამეტე წუთზე კანტიძე აღარ შემცდარა. მარჯვენა ფრთიდან ჯარიმა კარის შორეულ კუთხისკენ დაჰკიდა და ბაქნიდან აფრენილმა ჭიჭველიშვილმა თანაგუნდელს ოსტატური, მეკარისთვის უხერხული, მოჭრილი გადაცემა დაუფასა, დოლიძეს თავით აუღებელი ჩაუჭედა.

თითქოს ყველაფერი აქ უნდა დამთავრებულიყო. სტუმრებმა საქმე მოილიეს. სტუდენტებს ახლა სამი გოლი სჭირდებოდათ.

და მაინც, თსუ-მ იბრძოლა. იბრძოლა, თორემ, რომ ეკადრებოდა, ისე ვერ ითამაშა და ვერც იხეირა. გაშვებული გოლიდან მოყოლებული საშუალედო სასტვენამდე ერთთავად მასპინძლები უტევდნენ. „ბათუმმა" მათი კარისკენ ერთადერთხელ, 45-ე წუთზე დაარტყა — თორლაშვილმა შორიდან ააცილა. იგივე რვა წუთით ადრე თბილისელმა მაზიაშვილმაც გააკეთა. სტუდენტთა მოქმედებაშიც ეს თუ იყო გამოსაყოფი.

თამაშის განახლებიდან პირველივე სახიფათო ეპიზოდი გოლით დასრულდა. რუსიამ ვანო მახარაძის ნაჩუქარი ბურთი შეიშნოვა და შორეულში დარტყმით გაათანაბრა.

ორ წუთში მელქაძეს თანაგუნდელთა დაწინაურებაც შეეძლო. ხელი ტოგონიძემ შეუშალა — საჯარიმო დარტყმა აილო.

მე-60 წუთზე ზირაქიშვილი ვალდებული იყო, ბათუმელები გაეხარებინა. ფლანგზე კობიაშვილს რომ გასცდა, საჯარიმოში შეჭრილმა ხარიხას გაარტყა.

მეორე ტაიმის შუაწელში ხელი თსუმაც გამოილო, მაგრამ ქორიძემ ყოლბაიას მკერდით დაგდებული ბურთი შორიდან ააცილა. ამ მომენტს ხუთ წუთში ერთდროული შეცვლა მოჰყვა — შოთა ჭეიშვილმა კანტიძის ნაცვლად მინდორზე ღლონტი შეუშვა, ოთარ გაბელიამ მაზიაშვილის მაგივრად — შალამბერიძე.

სათადარიგო მსაჯი ოთარ გუნთაძე სიჩქარეში უწყნარად შეცდა. მაზიაშვილის №21-ის ნაცვლად №20 აღმართა. გუნთაძეს უყივლა — თუ ვინმე იყო შესაცვლელი, სწორედ ქორიძე. სტუდენტთა ყველა შეტევის ხელმისშემშლელი გაუგებარი, უაზრო მოქმედებებით ქორო გახლდათ. გაბელიას სამარქაფოთა შორის ქორიძის შემცვლელი არც ეჯდა. სწორედ ესაა თსუ-ს ნაკლი წლევანდელ სეზონში, მეორე ძირითადის თავდამსხმელი რომ ვერ მოიძია.

მატჩი სიჭინავას შორეულმა გოლმაც გაალამაზა. ბოლოს ყულეჯიშვილმა ჭიჭველიშვილის შეტევა და მატჩიც დაასრულა.


ზირაქიშვილი მეურვე კვიტატიანისგან (მარჯვნივ) გაქცევას ცდილობს

### ვახტანგ ბზიკაძე მცხეთიდან

გუშინ ბათუმელებმა პოკერი გააკეთეს. არა, არც ერთ ბათუმელს ხუთი კი არა, წყვილი გოლიც არ გაუტანია. „ბათუმი" მეხუთედ გავიდა თასის ფინალში.

გუშინ გორშიც მოსახდენი მოხდა. „დინამომ" „დილას" საშუალება არ მისცა, თასის ახალი, მეექვსე ფინალისტი ყოფილიყო.

ეყოლება თუ არა თასს ახალი მფლობელი, ამას 26 მაისსლა თუ შევიტყობთ.

„ბათუმი" ფინალში კი მეხუთედაა, მაგრამ მის სათასო გუნდობას ერთიც მოწმობს — ნახევარფინალში გასვლის რაოდენობით „ბათუმი" მხოლოდ „დინამოს" ჩამორჩება. ამ ზღურბლემდე შვიდჯერ მიუღწევია, თბილისელებს კი რვაჯერ.

დიდი ხნის წინ ბათუმელებს ერთი ტრადიციისთვისაც ჩაუყრიათ საფუძველი და ჩვეულებას არც ამჯერად უღალატეს. შვიდიდან ოთხჯერ ზღვისპირელებს პირველმა თამაშმა შინ უწიათ და სამჯერ ფინალშიც გასულან. უფრო საინტერესო ისაა, რომ ამ უპირატესობას ბათუმელები ჯეროვნად ვერ იყენებენ, მხოლოდ 1:0-ს იგებენ და გასვლით თამაშს აზრს უნარჩუნებენ.

ასე იყო ამჯერადაც. სტუდენტებს „ბათუმში" მინიმალური მარცხის შემდეგ იმედი გალვივებოდათ და ზღვისპირელებს

---

## მაკლარენის მეტოქე მხოლოდ მაკლარენია

**ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის მე-4 ეტაპი იმოლაში გაიმართა და კვლავ „მაკლარენის" უპირატესობით დასრულდა.**

ამჯერად პირველობა ერგო კულჰარდს, რომელმაც სტარტი პოულიდან აიღო და მთელი რბოლის განმავლობაში ლიდერობდა. მისი თანაგუნდელი და ჩემპიონატის ლიდერი ჰაკინენი რბოლას მე-17 წრეზე გამოეთიშა. ამის შემდეგ ტრასაზე კულჰარდის მეტოქე მხოლოდ შუმახერი გახლდათ, რომელმაც რბოლის მიწურულს, ადგილობრივ „ტიფოზთა" გასახარად, ლიდერთან ჩამორჩენა ხუთ წამამდე შეამცირა, მეტი კი ველარ შეძლო. ამათ უკან კი რბოლა ირვინმა დაასრულა.

როგორც იქნა, კვლავ შეძლო ქულის მოპოვება მსოფლიოს ჩემპიონმა ჟაკ ვილნევმა, რომელიც ფინიშზე მეოთხე იყო და პიტ-სტოპისას „უილიამსის" მექანიკოსთა ჩვეული სიზანტე რომ არა, შეიძლება პოდიუმზეც ასულიყო.

კულჰარდის გამარჯვება „მაკლარენისთვის" 110-ე გახლდათ და წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი 4 გამარჯვებითაა ჩამორჩება „ფერარის".

## იტალია

XXXI ტური

**ბარი 0:0 ვიჩენცა**

**ბრეშა 1:3 ბოლონია**
0:1, 0:2 რ. ბაჯო (39, 62), 1:2 პირლო (79), 1:3 პაგანინი (90)

**იუვენტუსი 1:0 ინტერი**
1:0 დელ პიერო (21)

**ემპოლი 5:1 ლეჩე**
1:0 ტონეტო (3), 1:1 კასალე (10), 2:1 ესპოზიტო (18), 3:1, 4:1 ამეტრანო (42, 60), 5:1 ლუჩენტი (74)

**ლაციო 1:2 პარმა**
1:0 ნედვედი (63), 1:1 სენსინი (76), 1:2 სტანიჩი (79)

**მილანი 0:0 ნაპოლი**

**პიაჩენცა 3:0 ატალანტა**
1:0, 2:0 პიოვანი (2, 553), 3:0 მურჯიტა (64)

**სამპდორია 2:0 ფიორენტინა**
1:0, 2:0 მონტელა (39, 76)

**უდინეზე 4:2 რომა**
1:0 ბირჰოფი (23), 1:1 ტოტი (44), 2:1 კალორი (60), 2:2 ტოტი (74), 3:2 პოჯი (75), 4:2 ბირჰოფი (89)

# პიერო ჩეკარინი და კიდევ სამი ტური

ალესანდრო დელ პიეროს მიერ 21-ე წუთზე გატანილმა გოლმა „იუვენტუსს" გუშინდელი მეტოქე „ინტერი" ცხრილში ოთხი ქულით ჩამოატოვებინა. დარჩენილია სამი ტური. „იუვენტუსი" სტუმრობს „ვიჩენცას", მასპინძლობს „ბოლონიას" და ჩემპიონატს კვლავ სტუმრად, ბერგამოში, „ატალანტასთან" ამთავრებს. „ინტერი" მასპინძლობს „პიაჩენცას", სტუმრობს „ბარის", ბოლოს კი „სან სიროზე" „ემპოლის" ეთამაშება.

დელ პიეროს მეორე ტაიმში კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული თერთმეტმეტრიანი „ინტერის" მეკარემ ჯანლუკა პალიუკამ ფეხით მოიგერია. ამ დარტყმას წინ დიდი არეულობა უძღოდა. საქმე ის გახლავთ, რომ 71-ე წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში შექმნილი მომენტი ასე დასრულდა: ბურთს რონალდო დაეუფლა, მისი წინ გაგდება მოასწრო, მაგრამ გზად გადახერგილ მარკ იულიანოს შეასკდა. მსაჯმა პიერო ჩეკარინიმ პენალტის დანიშვნა არ ინება. „იუვემ" კონტრშეტევა წამოიწყო და სანამ მილანელთა გუნდის ნახევარი ჩეკარინის ეკამათებოდა, მეორე ნახევარს ზიდანის პასით დელ პიერო დაუსხლტა, რომელიც მუდმივმა მეურვემ ტარიბო ვესტმა საჯარიმოში წააქცია. მსაჯს აქ უკვე აღარ უყოყმანია, ხელი კარის ხაზიდან თერთმეტ მეტრში მონიშნული წერტილისკენ გაიშვირა.

ჩეკარინის გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა მილანელმა მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ ისეთი ენერგიული პროტესტი გამოთქვა, რომ წითელი ბარათი მიიღო და გასახდელში გადაინაცვლა.

„მეტისმეტად განერვიულებულს წითელი ბარათი მარლაც მეკუთვნოდა. ნეტავ მსაჯს მანამდეც სწორი გადაწყვეტილება მიეღო. ისეთი ვითარება იყო შექმნილი, რომ კიდევ ერთი შეცდომა და ყველაფერს ძალიან უსიამოვნო გაგრძელება მოჰყვებოდა" — ბრძანა მატჩის შემდეგ სიმონიმ, რომელსაც გაძევებიდან ცოტა ხანში ასისტენტი, სიმონი პინიც ადევნეს — იგი არბიტრს უყვიროდა.

„ინტერი" კიდევ ერთი წითელი ბარათით დაისაჯა. შეცვლაზე აარონ ვინტერის ნაცვლად შესულმა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ზე ელიასმა სულ რამდენიმე წუთი დაჰყო მოედანზე, შემდეგ კი ფრანგ დიდიე დეშამპს ორთაბრძოლისას თავში იდაყვი ჩასცხო, რისთვისაც მწვრთნელების ბედი ეწია. აღსანიშნავია, რომ ეს გაძევება მილანელთა ბანაკიდან არავის გაუპროტესტებია.

ვნებათაღელვას აი, კიდევ რა უძევს ფონად: იტალიის ტელევიზია მთელი გასული კვირის განმავლობაში იმეორებდა კადრს, რომელიც საბუთი გახლდათ იმისა, რომ წინა ტურში, ემპოლიში, „იუვენტუსის" კარში გავიდა გოლი, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, მსაჯმა კი ვერ შენიშნა. რომ შეენიშნა, შეხვედრა ფრედ დამთავრდებოდა და „ინტერთან" შეხვედრამდე ტურინის გუნდი ერთი ქულით წინ კი არა, უკან იქნებოდა. მაშ ასე, ზედიზედ ორ მატჩში „იუვეს" სასარგებლოდ არბიტრებმა ორი პრინციპული შეცდომა დაუშვეს.

ასეა თუ ისე, ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე იტალიის „ბებერი ქალბატონი" გაცილებით ახლოსაა „სკუდეტოს" ანუ ეროვნული ტიტულის 25-ედ მოპოვებასთან (სარეკორდო შედეგია), ვიდრე მილანელ „შავ-ლურჯთა" კომპანია 1989 წლის შედეგის გამეორებასთან — „ინტერი" ქვეყნის 12 გზის ჩემპიონია.

ზედიზედ ექვსი გამარჯვებით შემართებულ სტუმრებს „დელე ალპის" მასპინძლებმა პირველ ტაიმში ინიციატივა აართვეს, თუმცა რომ ვთქვათ საქმე მწვავე მომენტებამდე მიჰყავდათო, ტყუილი იქნება. დელ პიეროს, როგორც მოგახსენეთ, ვესტი მეურვეობდა, მაგრამ ერთხელაც ნიგერიელი წინ წავიდა და დროული დაბრუნება აღარ მოუხერხდა, რითაც მყისიერად ისარგებლა „იუვეს" ათმა ნომერმა, მეტოქის საჯარიმოში მარცხნიდან შევიდა, პალიუკასგან მარჯვენა ძელს მიუახლოვდა და იქ, ჯუზეპე ბერგომის არყოფნაში მოედანზე გაყვანილ სალვატორე ფრეზის ჯობნით, ფანტაზიით ნაკარნახევი გოლი გაიტანა.

შესვენების შემდეგ „ინტერი" გაცილებით ყოჩაღად ათამაშდა, რონალდომ და ფრეზიმ მასპინძელთა მეკარეს ანჯელო პერუცის ოსტატობაც გამოავლენინეს, მაგრამ...

თამაში რომ დამთავრდა, „იუვენტუსის" ფეხბურთელები მოედნის ცენტრში შეჯგუფდნენ და მაყურებელთან ერთად იზეიმეს, მილანელები კი გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში მსაჯს კამათით მიჰყვებოდნენ.



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ინტერი. კოლონეზესა (მარცხნივ) და ინძაგის ორთაბრძოლა

„ბაჯო „ბოლონიასთვის" უზარმაზარი ძალაა, მაგრამ დღეისთვის მთელი გუნდი საუცხოოდ თამაშობს" — განაცხადა ბოლონიელთა მწვრთნელმა რენცო ულივიერიმ ბრეშაში 3:1 გამარჯვების შემდეგ.

„ბოლონია" შესაძლოა მართლაც კარგ ფორმაში იყოს, მაგრამ აქ საკითხი სხვაგვარადაც დგას. რა ჰქნას მეტი 1993 წლის ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა გმირმა რობერტო ბაჯომ? თამაშში ორ-ორი გოლის გატანა არაა საკმარისი იმისთვის, რომ ნაკრების მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ სქემებსა და დოგმებს უფრო მსუბუქად შეხედოს? წაიყვანს იგი ბაჯოს მსოფლიოს ჩემპიონატზე?

მალდინი შეხვედრას ესწრებოდა, ბაჯო კი რუსი იგორ კოლივანოვის ჩაწოდებას ელოდა, რათა პირველ ტაიმში პირველი გოლი გაიტანა, მისი მეორე გოლი შესვენების შემდეგ გავიდა — „ბრეშას" გოლკიპერის ჯოვანი ჩერვონეს დამარცხებამდე ბოლონიელმა ვარსკვლავმა სამ მოწინააღმდეგეს აჯობა.

„უდინეზემ" და „პარმამ" სამომავლოდ უეფას თასზე მონაწილეობისკენ სერიოზული ნაბიჯები გადადგეს. ამისათვის მათ რომაული გუნდები, „რომა" და „ლაციო" დაამარცხეს.

„უდინეზემ" 4:2 მოიგო. ორი გოლი გერმანელმა ფორვარდმა ოლივერ ბირჰოფმა გაიტანა და ახლა იგი 23 შეგდებული ბურთით სერია A-ს ბომბარდირთა ჩამონათვალში პირველ ადგილზეა.

„პარმა" სტუმრად იყო „სტადიო ოლიმპიკოზე", სადაც ანგარიში „ლაციომ" გახსნა, მაგრამ შემდგომ, სამ წუთში ორი გოლით გამარჯვება კარლო ანჩელოტის გუნდმა იზეიმა.

**პაატა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 31 | 20 | 9 | 2 | 63:25 | 69 |
| ინტერი | 31 | 20 | 5 | 6 | 57:24 | 65 |
| ლაციო | 31 | 16 | 8 | 7 | 51:23 | 56 |
| პარმა | 31 | 15 | 10 | 6 | 51:33 | 55 |
| უდინეზე | 31 | 16 | 7 | 8 | 55:38 | 55 |
| რომა | 31 | 14 | 10 | 7 | 57:39 | 52 |
| ფიორენტინა | 31 | 12 | 12 | 7 | 54:34 | 48 |
| სამპდორია | 31 | 13 | 7 | 11 | 49:50 | 46 |
| ბოლონია | 31 | 11 | 11 | 9 | 49:40 | 44 |
| მილანი | 31 | 11 | 10 | 10 | 36:35 | 43 |
| ვიჩენცა | 31 | 9 | 8 | 14 | 33:55 | 35 |
| ბარი | 31 | 9 | 7 | 15 | 26:40 | 34 |
| ემპოლი | 31 | 9 | 6 | 16 | 44:50 | 33 |
| პიაჩენცა | 31 | 6 | 14 | 11 | 23:34 | 32 |
| ბრეშა | 31 | 7 | 8 | 16 | 39:56 | 29 |
| ატალანტა | 31 | 6 | 10 | 15 | 22:46 | 28 |
| ლეჩე | 31 | 5 | 7 | 19 | 29:68 | 22 |
| ნაპოლი | 31 | 2 | 7 | 22 | 21:69 | 13 |

### სერია B

31-ე ტური. რეჯინა — კალიარი 2:2; ლუკეზე — ფოჯა 2:0; მონცა — ჯენოა 0:0; პადოვა — პესკარა 1:0; პერუჯა — კიევო 3:0; რავენა — ვენეცია 1:0; რეჯანა — დი სანგრო 1:0; სალერნიტანა — ანკონა 3:2; ტრევიზო — ტორინო 0:0; ვერონა — ფ.ანრია 2:1

## ინგლისი

XXXV ტური

**ასტონ ვილა 1:3 ბოლტონი**
0:1 კოქსი (18), 0:2 ბობ ტეილორი (41), 1:2 იან ტეილორი (57), 1:3 ბლეიკი (84)

**ბარნსლი 0:2 არსენალი**
0:1 ბერხკამპი (23), 0:2 ოვერმარსი (76)

**ბლექბერნი 0:0 უიმბლდონი**

**ვესტ ჰემი 2:4 საუთჰემპტონი**
0:1 ლე ტისიე (40), 1:1 სინკლერი (42), 1:2 ოსტენსტადი (63), 1:3 პალმერი (80), 2:3 ლომასი (82), 2:4 ოსტენსტადი (86)

**ლიდსი 3:3 ქოვენთრი**
1:0 ჯიმი (16), 1:1 ჰაკერბი (20), 2:1 ჯიმი (29), 2:2, 2:3 ჰაკერბი (34, 62), 3:3 კიუელი (75)

**ჩელსი 4:1 ლივერპული**
1:0 ჰიუზი (11), 1:1 რიდლე (45), 2:1 კლარკი (67), 3:1 ფლო (71), 4:1 ჰიუზი (78)

**ევერტონი 1:3 შეფილდი**
0:1, 0:2 ჰემბრიჯი (6, 41), 1:2 ფერგიუსონი (72), 1:3 დი კანიო (90)

**დერბი 0:4 ლესტერი**
0:1 ჰესკი (2), 0:2 იზეტი (3), 0:3 ჰესკი (9), 0:4 მარშალი (16)

**ტოტენჰემი 2:0 ნიუკასლი**
1:0 კლინსმანი (31), 2:0 ფერდინანდი (73)

**კრ. პალასი — მანჩესტერი**
დღეს გაიმართება

# ვისაც არ გააქვს, ის ვერ იგებს!

— უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იყო. თითქოს აუტსაიდერებს ვეპაექრებოდით, მაგრამ ისინი, ვისაც ბარნსლიში უთამაშიათ, დამერწმუნებიან, რომ აქ, ამ პატარა ქალაქში მოპოვებული გამარჯვება სამ ქულაზე მეტია. დღეს ჩვენ კიდევ უფრო მივუახლოვდით პრემიერლიგის ოლიმპს და ბოლო-ბოლო იმდენს ვიზამთ, დავიპყრობთ კიდეც მას — ასე შეაფასა მორიგი მოგება „არსენალის" ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა ლეგიონერმა დენის ბერხკამპმა. სხვათა შორის, „მეთოფეთა" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა მატჩის შემდეგ ბერხკამპზე თქვა, მას ამ ბოლო დროს იშვიათად გააქვს, მაგრამ თუ გაუტანია გოლი, მხოლოდ შესანიშნავიო. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა მართლაც ლამაზი ბურთი შეაგდო. თანამემამულე ოვერმარსის მიერ ანგარიშის გაზრდა ლოგიკურიც გახლდათ — „ბარნსლის" შედეგიანობა არცთუ მაღალია, პრემიერლიგის დებიუტანტებს მეტოქის კარის დალაშქვრა უჭირთ. თუმცა, მათ რომ გაუტანო, ესეც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, განსაკუთრებით ჩემპიონატის მეორე ნახევარში.

„არსენალის" დაცვა წლეულს ბრწყინვალედ თამაშობს. ბოლო 12 პრემიერლიგურ შეხვედრაში ლონდონელებმა მეათე მატჩში შეინახეს კარი მშრალად. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორი გოლი გაუშვეს. გახსოვთ 1992-93 წლების „მილანი"? ფაბიო კაპელოს გუნდმა მინიმუმამდე დაიყვანა გოლის გაშვების ალბათობა. თუმცა კი თავად დიდი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნიდა. მიუხედავად ამისა, ერთი, მაქსიმუმ ორი ბურთი სავსებით კმაროდა შეხვედრის მოსაგებად. თუმცა რა შორს მივდივართ? — განა 1991 წელს გაჩემპიონებული „არსენალი" დაცვის რკინისებური თამაშით არ გამოირჩეოდა? იმ წელს ლონდონელებმა ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრეს, თანაც სულ 18 ბურთი გაუშვეს. არსენ ვენგერის გუნდის დაცვა ახლაც საუცხოოდ თამაშობს და ამ სეზონშიც, ისევე, როგორც ამ ათწლეულის დასაწყისში, მისი ბურჯი ტონი ადამსია.

— წლეულს ჩემპიონები უნდა გავხდეთ. ეს სეზონი შორეულ 1991-ს მაგონებს. დღევანდელის დარად, „არსენალი" მაშინ შესანიშნავი იყო. ჩემპიონობა აქამდე რომ ვერ მოვიპოვეთ, ეს გუნდის შინაგანი არეულობის ბრალი გახლდათ. არა, პირველობა ხელიდან არ უნდა გავუშვათ — ტონი ადამსს, რომელმაც „უემბლიზე" პორტუგალიასთან ნაკრებში 50-ედ ითამაშა, სწამს „არსენალისა".

„არსენალი" „არსენალად", მაგრამ უქმეებზე, ბარნსლის გარდა, პრემიერლიგის მატჩებს კიდევ შვიდმა სტადიონმა უმასპინძლა.



REUTERS ბარნსლიდან

ბარნსლი — არსენალი. ფრენის მოშიში მფრინავი ჰოლანდიელი ბერხკამპი

ლონდონში, კერძოდ კი, „სტემფორდ ბრიჯზე", ტურის ცენტრალური შეხვედრა შედგა — „ჩელსიმ" „ლივერპული" მიწასთან გაასწორა, არადა, მატჩის დასასრულამდე 18 წუთით ადრე 1:1 იყო. რამ გამოიწვია სტუმართა განადგურება, არავინ იცის. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ როი ევანსის („ლივერპულის" მწვრთნელი) გუნდშია საძებნი და არა სხვაგან.

კიდევ ერთ ლონდონურ მატჩში ცხრილის ფსკერზე ჩაძირულმა „ტოტენჰემმა" და „ნიუკასლმა" გაარკვიეს ურთიერთობა. მასპინძლები ძლიერნი აღმოჩნდნენ — ტრავმებით გაწამებულმა და ათასჯერ გაკრიტიკებულმა კლინსმანმა და ფერდინანდმა კენი დალგლიშის შავ-თეთრებს წირვა გამოუყვანეს.

ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი და, ალბათ, უმთავრესი მეტოქე ნორვეგიაა, ამ ქვეყნის წამყვანი მობურთალეები კი, მოგეხსენებათ, ინგლისის სხვადასხვა კლუბებში ილწვიან. პრემიერლიგაში ტური ისე არ ჩაივლის, რომელიმე ნორვეგიელმა არ „იფეთქოს" — ახლაც „საუთჰემპტონის" ეგილ ოსტენსტადმა ორი გოლით „დალეურსმნა" მასპინძელი „ჩაქუჩები" (ვესტ ჰემი).

ქართველთათვის საინტერესო პირველ დივიზიონშიც მოხდა. საეჭვოა, სასწაულმა იხსნას წყალწაღებული „მანჩესტერ სიტი", რომელიც საშვილიშვილო თავის მოჭრას, ალბათ, ვერ გადაურჩება და, ისტორიაში პირველად, მეორე დივიზიონში დაქვეითდება. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ჰოდა „სიტის" დაღმასვლას ქინქლაძის სხვაგან გადასვლა მოჰყვება. ისე, „სიტისთან" გამოსათხოვარი თამაში ქინქლაძეს შესანიშნავი გამოუვიდა — უკვე მე-40 წამზე (!) ჯარიმით ანგარიში გახსნა. თუმცა, ის მატჩი, რომელიც თითქოს „სიტის" უნდა მოეგო, ფრედ დასრულდა.

ეტყობა, მეინ როუდელთა ამბავი, კარგა ხანია, ზეცაში გადაწყდა.

და კიდევ. მანჩესტერელთა გერმანელი თავდამსხმელი უვე როსლერი, რომელმაც „სიტიში" ოთხი წელი გაატარა, მომავალი სეზონიდან „კაიზერსლაუტერნში" ითამაშებს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 34 | 21 | 9 | 4 | 63:28 | 72 |
| მანჩესტერი | 35 | 20 | 8 | 7 | 65:26 | 68 |
| ლივერპული | 36 | 17 | 11 | 8 | 62:43 | 62 |
| ჩელსი | 35 | 19 | 3 | 13 | 68:39 | 60 |
| ლიდსი | 35 | 16 | 7 | 12 | 53:40 | 55 |
| ბლექბერნი | 35 | 14 | 10 | 11 | 55:50 | 52 |
| ვესტ ჰემი | 35 | 15 | 7 | 13 | 49:46 | 52 |
| ასტონ ვილა | 36 | 15 | 6 | 15 | 45:47 | 51 |
| ლესტერი | 35 | 12 | 13 | 10 | 47:37 | 49 |
| დერბი | 35 | 14 | 7 | 14 | 49:48 | 49 |
| ქოვენთრი | 35 | 11 | 14 | 10 | 43:43 | 47 |
| საუთჰემპტონი | 36 | 14 | 5 | 17 | 49:52 | 47 |
| შეფილდი | 36 | 12 | 8 | 16 | 51:63 | 44 |
| უიმბლდონი | 35 | 10 | 12 | 13 | 31:39 | 42 |
| ნიუკასლი | 35 | 10 | 10 | 15 | 32:42 | 40 |
| ტოტენჰემი | 36 | 10 | 10 | 16 | 37:53 | 40 |
| ევერტონი | 36 | 9 | 12 | 15 | 40:51 | 39 |
| ბოლტონი | 36 | 8 | 13 | 15 | 36:57 | 37 |
| ბარნსლი | 36 | 10 | 5 | 21 | 37:79 | 35 |
| კრ. პალასი | 34 | 7 | 8 | 19 | 31:60 | 29 |

### პირველი დივიზიონი

45 ტური. პორტ ვეილი — მიდლსბრო 0:1; ბერი — იფსვიჩი 0:1; ჩარლტონი — ტრანმერი 2:0; ქრიუ — ბრედფორდი 5:0; სიტი — ქუინზ პარკი 2:2; ნორვიჩი — სვინდონი 5:0; ოქსფორდი — ბირმინგემი 0:2; პორტსმუთი — ჰადერსფილდი 3:0; შეფილდ იუნაიტედი — ვესტ ბრომვიჩი 2:4; სანდერლენდი — სტოკ სიტი 3:0; ვულვერჰემპტონი — სტოკპორტი 3:4; ნოტინგემი — რედინგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 45 | 28 | 9 | 8 | 81:41 | 93 |
| სანდერლენდი | 44 | 25 | 12 | 7 | 81:46 | 87 |
| მიდლსბრო | 44 | 26 | 9 | 9 | 72:39 | 87 |
| ჩარლტონი | 45 | 26 | 9 | 10 | 80:49 | 87 |
| იფსვიჩი | 44 | 21 | 14 | 9 | 72:41 | 77 |
| ბირმინგემი | 45 | 19 | 16 | 10 | 60:35 | 73 |
| შეფილდ იუნ. | 43 | 19 | 16 | 8 | 65:48 | 73 |
| ვულვზი | 44 | 18 | 10 | 16 | 55:50 | 64 |
| სტოკპორტი | 45 | 18 | 8 | 19 | 70:69 | 62 |
| ვესტ ბრომვიჩი | 45 | 16 | 12 | 17 | 49:55 | 60 |
| ოქსფორდი | 44 | 16 | 9 | 19 | 58:59 | 57 |
| ბრედფორდი | 45 | 14 | 15 | 16 | 45:56 | 57 |
| ქრიუ | 44 | 17 | 5 | 22 | 54:61 | 56 |
| ჰადერსფილდი | 45 | 14 | 11 | 20 | 50:68 | 53 |
| ტრანმერი | 44 | 13 | 13 | 18 | 49:53 | 52 |
| ნორვიჩი | 45 | 13 | 13 | 19 | 51:69 | 52 |
| სვინდონი | 45 | 14 | 10 | 21 | 41:71 | 52 |
| ბერი | 45 | 10 | 19 | 16 | 41:58 | 49 |
| ქუინზ პარკი | 44 | 10 | 18 | 16 | 50:61 | 48 |
| პორტ ვეილი | 45 | 12 | 10 | 23 | 52:66 | 46 |
| პორტსმუთი | 45 | 12 | 10 | 23 | 48:62 | 46 |
| სტოკ სიტი | 45 | 11 | 13 | 21 | 42:69 | 46 |
| სიტი | 45 | 11 | 12 | 22 | 51:55 | 45 |
| რედინგი | 45 | 11 | 9 | 25 | 38:74 | 42 |

## გერმანია

XXXI ტური

**კარლსრუე 3:3 შალკე**

1:0 მიხალკე (9), 1:1 კელერი (16), 1:2 ჰესლერი (43), 2:2 მიხალკე (57), 2:3 გილევიში (74), 3:3 მიხალკე (86)

**კიოლნი 2:3 მიუნხენი**

0:1 ჩერნი (13), 0:2 ვინკლერი (32), 0:3 ჰელდტი (34), 1:3 შუსტერი (51), 2:3 პოლსტერი (56პ)

**ჰერტა 1:1 არმინია**

0:1 კუნცი (18), 1:1 სვერისონი (80)

**ბაიერნი 2:1 ლევერკუზენი**

1:0 ტარნატი (16), 2:0 რიციტელი (49), 2:1 რინკი (83)

**კაიზერი 3:2 გლადბახი**

0:1 ჰაუსვაილერი (16), 0:2 პეტერსონი (43), 1:2, 2:2, 3:2 მარშალი (45, 60, 90)

**ჰანზა 1:1 შტუტგარტი**

1:0 დოვე (25), 1:1 პოშნერი (74)

**ვოლფსბურგი 1:4 დორტმუნდი**

0:1 შაპუიზა (15), 1:1 რეინა (43), 1:2 ბუტი (44), 1:3 მიოლერი (49), 1:4 შაპუიზა (78)

**შალკე 0:1 ვერდერი**

0:1 ბოდე (18)

**ჰამბურგი 1:0 დუისბურგი**

1:0 სალიჰამიჯიჩი (27)

# გლახა გლადბახი



REUTERS კოლექცია

კიოლნი — მიუნხენი. მარკო უოლკერმა ტონი პოლსტერი არ გაატოკა

„კაიზერსლაუტერნმა" ოლაფ მარშალის ჰეთ-თრიქის წყალობით დაჩაჩანაკებულ მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" მორიგი გამარჯვება მოიპოვა. არადა მატჩის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა. „ბორუსიას", რომელიც სატურნირო ცხრილის ბოლოში სულს ღაფავს, უძლიერესთა კოჰორტაში დასარჩენად ქულები ჰაერივით სჭირდებოდა. ჰოდა, მათაც ფიცხლად დაიწყეს შეხვედრა, ერთი ხანობა 2:0-საც იგებდნენ და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვიტეს, მაგრამ მასპინძლები სხვანაირად ფიქრობდნენ. მარშალმა ჯერ პირველი ტაიმის მიწურულს ერთი გოლი გაქვითა, შემდეგ მანვე მე-60 წუთზე მიონხენგლადბახელთა მეკარე უვე კამპსის მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა და მეორედ აიღო ბორუსიის კარი. მატჩი იქნებ ასევე დასრულებულიყო, მაგრამ ყოფილმა გედეერელმა 90-ე წუთზე ჰეთ-თრიქი შეასრულა და თავის გუნდს ჩემპიონობისთვის საჭირო სამი ქულა მოუტანა.

ოტო რეჰაგელი კმაყოფილი იყო გუნდის თამაშით და პრესკონფერენციაზე კიდეც აღნიშნა, დამსახურებულად გავიმარჯვეთო. ერთ დროს უძლიერეს ბორუსიას დარჩენილ სამ ტურში თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ალბათ, მოუწევს უმაღლესი ლიგის დატოვება.

უეფას თასის შარშანდელი მფლობელი „შალკე" მოულოდნელად შინ 0:1 დამარცხდა ბრემენის „ვერდერთან" და განაგრძო ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია. ახლა მათ მძიმე ბრძოლების გადატანა მოუწევთ, რათა საგაისოდ ევროთასების ერთ-ერთ საგზურს მაინც გამოჰკრან ხელი.

„ვერდერს" გამარჯვება მარკო ბოდეს მე-18 წუთზე გატანილმა გოლმა მოუტანა. ამ მოგებით მათ მეექვსე ადგილზე აინაცვლეს და გელზერკინხელელთა გვარად უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე აცხადებენ პრეტენზიას. ამ ადგილის კიდევ ორმა პრეტენდენტმა — „ჰანზამ" და „შტუტგარტმა" ფრედ 1:1 ითამაშეს.

დაძაბული გამოდგა მატჩები იმ გუნდებს შორის, რომლებიც ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვიან. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა „მიუნხენმა". მათ სტუმრად „კიოლნი" დაამარცხეს 3:2. გულდასაწყვეტია „კიოლნის" ასეთი სუსტი გამოსვლა ამ ჩემპიონატში. გუნდი, სადაც ერთ დროს პიერ ლიტბარსკი და კლაუს ალოფსი ბრწყინავდნენ და რომელიც ბუნდესლიგის დაარსების დღიდან მისი მუდმივი წევრი იყო, დღეს ცალი ფეხით მეორე ჯგუფშია. ამ მატჩში მათი თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. მიუნხენელები უკვე 34-ე წუთისათვის სამი ბურთით იყვნენ წინ. მართალია, მეორე ნახევარში დირკ შუსტერმა და ტონი პოლსტერმა ორი გოლი გაქვითეს, მაგრამ მიუნხენელებმა, რომელთაც კიოლნში ბოლო 13 სეზონია, არ გაუმარჯვიათ, მაინც ადვილად მიიყვანეს თამაში სასურველ შედეგამდე.

კიოლნში რომ ღრმა კრიზისია, გუნდის წამყვანი ფეხბურთელის პოლსტერის სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს: ნაღდი ფეხბურთელი არ ვიქნებოდი, გულის სიღრმეში ჩვენი წარმატების რომ არ მჯეროდეს, მაგრამ თუ ასე გავაგრძელეთ თამაში, ვფიქრობ, ლიგაში დარჩენის დიდი შანსი არ გვაქვს.

ამ გამარჯვებით „მიუნხენმა" თავი დროებით სამშვიდობოს დაიგულა, რასაც ვერ ვიტყვით „ბოხუმსა" და „კარლსრუეზე", რომელთაც ერთმანეთში გამართული „პინგ-პონგი" 3:3 დაამთავრეს.

**ირაკლი ხმელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 31 | 18 | 9 | 4 | 56:36 | 63 |
| ბაიერნი | 32 | 18 | 8 | 6 | 65:37 | 62 |
| ლევერკუზენი | 31 | 14 | 11 | 6 | 62:34 | 53 |
| შტუტგარტი | 32 | 13 | 10 | 9 | 52:45 | 49 |
| ჰანზა | 32 | 13 | 9 | 10 | 48:39 | 48 |
| ვერდერი | 32 | 13 | 8 | 11 | 42:46 | 47 |
| შალკე | 31 | 11 | 13 | 7 | 35:30 | 46 |
| დორტმუნდი | 31 | 11 | 9 | 11 | 55:48 | 42 |
| დუისბურგი | 32 | 10 | 10 | 12 | 40:43 | 40 |
| ჰამბურგი | 32 | 10 | 10 | 12 | 36:45 | 40 |
| ჰერტა | 31 | 11 | 7 | 13 | 38:48 | 40 |
| ვოლფსბურგი | 32 | 11 | 6 | 15 | 38:48 | 39 |
| მიუნხენი | 32 | 10 | 8 | 14 | 42:53 | 38 |
| ბოხუმი | 31 | 9 | 8 | 14 | 38:47 | 35 |
| კარლსრუე | 32 | 8 | 11 | 13 | 42:54 | 35 |
| კიოლნი | 31 | 10 | 5 | 16 | 46:59 | 35 |
| გლადბახი | 32 | 7 | 11 | 14 | 47:57 | 32 |
| არმინია | 31 | 7 | 7 | 17 | 38:51 | 28 |

### მეორე ბუნდესლიგა

28-ე ტური. კიკერსი — ფორტუნა 1:1; ურდინგენი — გიუტერსლო 0:3; ვატენშაიდი — დიუსელდორფი 4:0; აინტრახტი — მეპენი 1:0; ლაიფციგი — ფიურტი 2:0; კოტბუსი — ცვიკაუ 2:1; ნიურნბერგი — მაინცი 1:0; კარლ ცაისი — უნტერჰახინგი და ფრაიბურგი — ზანქტ პაული დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | 28 | 15 | 10 | 3 | 40:23 | 55 |
| ნიურნბერგი | 27 | 16 | 3 | 8 | 39:22 | 51 |
| გიუტერსლო | 28 | 12 | 11 | 5 | 37:22 | 47 |
| ფრაიბურგი | 27 | 13 | 6 | 8 | 45:31 | 45 |
| ფორტუნა | 28 | 9 | 12 | 7 | 44:42 | 39 |
| ზანქტ პაული | 27 | 9 | 12 | 6 | 30:28 | 39 |
| ურდინგენი | 28 | 10 | 8 | 10 | 27:27 | 38 |
| ვატენშაიდი | 28 | 10 | 7 | 11 | 38:31 | 37 |
| კოტბუსი | 28 | 8 | 13 | 7 | 28:26 | 37 |
| დიუსელდორფი | 28 | 10 | 7 | 11 | 43:45 | 37 |
| ლაიფციგი | 27 | 10 | 7 | 10 | 29:39 | 37 |
| ფიურტი | 28 | 9 | 9 | 10 | 23:27 | 36 |
| უნტერჰახინგი | 26 | 8 | 10 | 8 | 31:23 | 34 |
| კიკერსი | 28 | 9 | 6 | 13 | 36:42 | 33 |
| მაინცი | 28 | 6 | 13 | 9 | 40:43 | 31 |
| კარლ ცაისი | 26 | 7 | 7 | 12 | 28:42 | 28 |
| მეპენი | 28 | 5 | 9 | 14 | 30:48 | 24 |
| ცვიკაუ | 28 | 3 | 8 | 17 | 19:46 | 17 |

## ჰოლანდია

**ვოლენდამი 1:2 მაასტრიხტი**

0:1 ტაივო (15), 1:1 ლიიფლანდი (32), 1:2 ემერსონი (68)

**ჰერენვენი 2:2 სიტარდი**

0:1 ჰამინგი (47), 0:2 ჯეფრი (58), 1:2 გუსატუ (70), 2:2 სტრაალი (85)

**ნაიმეგენი 2:0 ბრედა**

1:0 ჰესპი (17), 2:0 მაესი (67პ)

**როდა 2:0 სპარტა**

1:0 ტორმა (51), 2:0 პიტერსი (79)

**გრააფსჰაპი 2:1 ტვენტე**

1:0 ვისკაალი (32), 1:1 კამფუისი (51), 2:1 ვისკაალი (90)

**გრონინგენი 1:2 უტრეხტი**

1:0 ბომბარდა (49), 1:1 დე ინგი (59), 1:2 ასმუსი (70)

**ვიტესი 2:0 აიაქსი**

1:0 მახლასი (26), 2:0 იოკემსენი (47)

**ვალვაიკი 1:4 ტილბურგი**

0:1 არტსი (15), 0:2 სკენინგი (25), 0:3 პირინგი (34), 1:3 სკოფსი (47), 1:4 კოლკა (55)

**ეინდჰოვენი 3:3 ფეიენოორდი**

1:0 მოლერი (3), 2:0 იონკი (16), 3:0 სტინგა (36), 3:1 ვან ბრონკხორსტი (51), 3:2 კრუზი (70), 3:3 ვან გასტერი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 32 | 28 | 2 | 2 | 103:19 | 86 |
| ეინდჰოვენი | 32 | 20 | 9 | 3 | 89:39 | 69 |
| ვიტესი | 32 | 19 | 7 | 6 | 80:46 | 64 |
| ფეიენოორდი | 32 | 18 | 7 | 7 | 61:36 | 61 |
| ტილბურგი | 32 | 16 | 4 | 12 | 61:54 | 52 |
| ჰერენვენი | 31 | 14 | 7 | 10 | 51:53 | 49 |
| სიტარდი | 32 | 13 | 6 | 13 | 47:51 | 45 |
| სპარტა | 32 | 10 | 10 | 12 | 49:55 | 40 |
| უტრეხტი | 31 | 12 | 4 | 15 | 54:61 | 40 |
| გრააფსხაპი | 32 | 10 | 9 | 13 | 42:40 | 39 |
| ტვენტე | 32 | 10 | 9 | 13 | 37:41 | 39 |
| ბრედა | 32 | 11 | 6 | 15 | 36:44 | 39 |
| ნაიმეგენი | 32 | 12 | 2 | 18 | 37:57 | 38 |
| როდა | 32 | 9 | 8 | 15 | 39:41 | 35 |
| მაასტრიხტი | 32 | 9 | 4 | 19 | 33:71 | 31 |
| ვალვაიკი | 32 | 8 | 6 | 18 | 45:67 | 30 |
| გრონინგენი | 32 | 6 | 10 | 16 | 39:59 | 28 |
| ვოლენდამი | 32 | 4 | 6 | 22 | 28:97 | 18 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ნიკოს მახლასი (ვიტესი) | 33 |
| შოთა არველაძე (აიაქსი) | 24 |
| რონალდ ჰამინგი (სიტარდი) | 19 |
| დეიან ჩუროვიჩი (ვიტესი) | 17 |
| მიხაელ მოლსი (უტრეხტი) | 15 |
| იარი ლიტმანენი (აიაქსი) | 14 |
| ერიკ ვისკაალი (სპარტა) | 14 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** „ნოტინგემ ფორესტს" დანიის ნაკრების თავდამსხმელ ებე სენდის შეძენა სურს და მზადაა, ფეხბურთელში 5,8 მილიონი დოლარი გადაიხადოს. „ბრონდბიუში" მოთამაშე სენდი დანიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში 25 გოლით ლიდერობს. მისი დებიუტი ნაკრებში წინა კვირაში შედგა, როცა მასპინძლებმა ნორვეგიასთან 0:2 წააგეს. სწორედ ამ მატჩში დაიმსახურა სენდმა ნოტინგემელთა მენეჯერის დეივ ბესეტის სიმპატია.

**იტალიის** „რომა" მზად იყო, ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" თავდამსხმელ ფერნანდო მორიენტესში 23,1 მილიონი დოლარი გადაეხადა, მაგრამ საქმე მოულოდნელად ჩაიშალა. ესპანელთა წარმომადგენელმა ყოველგვარი კომენტარისაგან თავი შეიკავა, მხოლოდ დაადასტურა, რომ გარიგება მართლაც მზადდებოდა. ესპანელი გულშემატკივრების ფავორიტი მორიენტესი „რეალმა" შარშან 6,6 მილიონად შეიძინა „ვალიადოლიდისგან". ამ სეზონის განმავლობაში ფეხბურთელმა 12 გოლი გაიტანა ეროვნულ ჩემპიონატში და ოთხიც ჩემპიონთა ლიგაში. წინა თვეში კი თავბრუდამხვევი სტარტი ჰქონდა ნაკრებში, როცა ესპანელებმა 4:0 გაანადგურეს შვედეთი, თავად მორიენტესმა კი 2 გოლი გაიტანა.

**ესპანეთის** „ატლეტიკომ" მოულოდნელად უარი მიიღო ურუგვაის ნაკრების წევრ იუვენტუსელ პაოლო მონტეროსგან ამ გუნდში გადასვლის თაობაზე. საქმე თითქმის მოგვარებული იყო, მაგრამ ბოლო მომენტში იტალიურმა გუნდმა გადაწყვიტა, არ გაეშვა ფეხბურთელი, რომელმაც კონტრაქტით კიდევ 4 წელი უნდა ითამაშოს „იუვეში".

**ესპანეთში** მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი ლორენსო სანსი თითოეულ ფეხბურთელს 40 მილიონ პესეტას (262 ათასი დოლარი) დაჰპირდა ჯილდოს სახით, თუ ისინი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ტურინის „იუვენტუსს" დაამარცხებენ. ფულს ალვარო ვილარო და მანუელ კანაბალიც მიიღებენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტრანსფერზე არიან დაყენებული. თუმცა გამარჯვების შემთხვევაში ყველაზე დიდი აღიარება წილად ხვდება მწვრთნელ იუპ ჰაინკესს. კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში მისი ანაზღაურება 60 მილიონ პესეტამდე (393 ათასი დოლარი) გაიზრდება.

**ხორვატიის** ნაკრებისა და რომის „ლაციოს" თავდამსხმელი ალენ ბოკშიჩი მომავალ სეზონში „მილანში" ითამაშებს. ბოკშიჩმა სეზონი არც ისე ძლიერად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მოუმატა და ბოლო ორ თვეში ჩემპიონატსა და უეფას თასზე გამართულ მატჩებში გუნდის მთავარ ფიგურად იქცა. მოგვიანებით, როგორც აღმოჩნდა, ფეხბურთელი კარგად ვერ შეეწყო „ლაციოს". ჩეხეთის ნაკრების წევრ პაველ ნედვედის თქმით, ალენმა ვერაფრით მოახერხა ზედმეტი წონის დაკლება და თან სულ უკმაყოფილოა გუნდის სატრანსფერო გეგმებით. ბოქშიჩის უგუნებობის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ რომაელებმა გუნდში ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასი მიიყვანეს და ახლა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასა" და იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელ დეიან სტანკოვიჩსა და „სამპდორიას" ნახევარმცველ სინიშა მიხაილოვიჩზე უჭირავთ თვალი. რომაელთა კლუბის მფლობელმა სერჯო კრანიოტიმ განაცხადა, რომ გუნდში ძალით არავის დააკავებს. „ჩვენ უარი ვუთხარით კაპიტანსა და ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელ ჯუზეპე სინიორის და ასევე სამართლიანად მოვექცევით ნებისმიერს, ვინც გუნდის დატოვებას მოისურვებს. თუ ბოქშიჩი „მილანში" გადავა, მაშინ აქ უძლიერეს თავდამსხმელთა ტანდემს ვიხილავთ ხორვატიისა და „უდინეზედან" გადმოსულ ოლივერ ბირჰოფის სახით — თქვა პრეზიდენტმა.

**კოლუმბიის** ნაკრების წევრ კარლოს ვალდერამას ფრანგულ კლუბ „მონპელიეს" ვალის გასტუმრება მოუწევს, თუ სურს, ითამაშოს მსოფლიოს ჩემპიონატზე. „ტამპა ბეის" თამაგაბუ რძნული ნახევარმცველი „მონპელიეში" 1988-91 წლებში თამაშობდა და აქაურთა ვალიც, 31 ათასი დოლარი, მაშინ აუღია. ვალდერამა „მონპელიეს" პრეზიდენტს 22 ივნისს შეხვდება კოლუმბია-ტუნისის მატჩის შემდეგ.

**გერმანიის** „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ზეპ ბლატერს მაღალი შეფასება მისცა, თუმცა კონკრეტული პასუხი არ გასცა ჟურნალისტთა კითხვას, ვის უჭერს მხარს უეფას პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში. შვეიცარიული „ზონტაგსბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში კაიზერმა განაცხადა, რომ ერთი წლის წინ მხარი დაუჭირა უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს, რადგან იმ დროისათვის იგი ერთადერთი კანდიდატი იყო ამ პოსტზე — ახლა სიტუაცია შეიცვალა. „მე არ ვიზიარებ იუჰანსონის საარჩევნო პროპაგანდას. ბლატერი საუკეთესოა მათ შორის, ვინც გვყავს დღევანდელ ფეხბურთში." როცა ბეკენბაუერს სთხოვეს, დაეზუსტებინა თავისი პოზიცია, გერმანელთა ყოფილმა კაპიტანმა თქვა, მე თავს შევიკავებ, რადგან არ შემიძლია, ზურგი ვაქციო იმ კაცს, რომელსაც ერთი წლის წინ მხარს ვუჭერდიო. პრეზიდენტის ვინაობა საბოლოოდ 8 ივნისს გაირკვევა ფიფას კონგრესზე.

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი წევრი მარტინ პიტერსი თვლის, რომ გლენ ჰოდლის მიერ გუნდში აყვანილი 57 წლის ელენ დროვერის მთელი შემოქმედება სისულელეა და მეტი არაფერი. ჰოდლმა ერთგულებითა და ლოცვებით მკურნალი ქალი გუნდში მიიწვია იმ განზრახვით, რომ ის ფსიქოლოგიურად უკეთ მოამზადებდა ფეხბურთელებს. პიტერსმა განაცხადა, რომ დროვესის ტელევიზიით გამოსვლა ფარსი იყო. ამ გამოსვლაში ელენმა მთელს ინგლისს მოსდო ამბავი, თითქოს იგი ღმერთის გამოგზავნილია და ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაამარჯვებინებს. ამ ქალმა ისიც განაცხადა, თითქოს შესარჩევ ტურნირში სწორედ მისი გამოისობით ვერ გაიტანა რაიტმა გოლი. და ეს საგანგებოდ მოხდა, რათა ინგლისელი გულშემატკივრები ჭკუაზე არ მოყოლილიყვნენ.

## ესპანეთი

XXXI ტური

**კომპოსტელა 3:1 ვალენსია**

1:0 საიბი (5), 2:0 ბელიდო (17), 2:1 მენდიეტა (29პ), 3:1 პენევი (44პ)

**სალამანკა 4:0 სპორტინგი**

1:0 ლორენი (55), 2:0, 3:0 პაულეტა (61, 65), 4:0 მანოლო (75ს.კ.)

**ატლეტიკო 2:2 ტენერიფე**

1:0 პაუნოვიჩი (18), 1:1 აგილერა (27ს.კ.), 2:1 ხოსე მარი (84), 2:2 ალექსისი (90პ)

**სარაგოსა 2:0 რასინგი**

1:0 რადიმოვი (19), 2:0 ჯამელი (50)

**ოვიედო 0:1 ვალიადოლიდი**

0:1 ვიკტორი (54)

**სელტა 1:1 ბილბაო**

0:1 ეჩებერია (5), 1:1 მოისესი (63)

**ბეტისი 2:1 მალიორკა**

0:1 რომერო (40), 1:1 ოლიასი (55), 2:1 ალფონსო (89)

**ესპანიოლი 1:1 ბარსელონა**

0:1 ფიგუ (37), 1:1 სერჯიო (56)

**მერიდა 2:2 რეალი**

0:1 იერო (60პ), 1:1 სინვალი (63), 2:1 საბასი (65), 2:2 შუკერი (79)

დავორ შუკერმა დაამტკიცა, რომ მარჯვენა ფეხითაც ისევე ზუსტად ურტყამს, როგორც ცნობილი მარცხენათი — „მერიდასა" და „რეალის" შეხვედრაში ანგარიში საბოლოოდ გაათანაბრა.

ამ შედეგმა მოიტანა ის, რომ მეორე ადგილისთვის ბრძოლაში „სამეფო გუნდი" ახლა ორი ქულით უსწრებს ბილბაოს „ატლეტიკს", პირველი ადგილი კი მოგეხსენებათ „ბარსელონას" აქვს განაღდებული, მიუხედავად იმისა, რომ თანაქალაქელ „ესპანიოლის" 1:1-ზე მეტი ვერ მოუხერხა.

„რეალის" მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა მხსნელი შუკერი ბოლოს იეროს ნაცვლად შეიყვანა მოედანზე.

„პრინციპში კარგად ვითამაშეთ. ასე გვმართებს გაგრძელება" — თქვა შემდეგ „რეალის" ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა.

„ბილბაო" ხოსება ეჩებერიას გოლმა ადრევე დააწინაურა ვიგოს „სელტასთან" შეხვედრაში. ბასკებს ხელადვე შეეძლოთ მეორე გოლის გატანა, მაგრამ ხულენ გერერომ ჩინებული მომენტი ვერ გამოიყენა. ამისათვის „ატლეტიკი" დაისაჯა — მოისეს გარსიამ მეორე ტაიმის შუაში გაქვითა ანგარიში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 35 | 23 | 5 | 7 | 74:44 | 74 |
| რეალი | 35 | 16 | 12 | 7 | 62:42 | 60 |
| ბილბაო | 35 | 15 | 13 | 7 | 48:42 | 58 |
| მალიორკა | 35 | 15 | 11 | 9 | 52:36 | 56 |
| სელტა | 35 | 16 | 8 | 11 | 48:41 | 56 |
| ბეტისი | 35 | 16 | 8 | 11 | 46:46 | 56 |
| სოსიედადი | 34 | 14 | 13 | 7 | 55:35 | 55 |
| ატლეტიკო | 35 | 14 | 12 | 9 | 72:52 | 54 |
| ვალენსია | 35 | 15 | 6 | 14 | 52:46 | 51 |
| ესპანიოლი | 35 | 11 | 15 | 9 | 42:30 | 48 |
| ვალიადოლიდი | 35 | 13 | 8 | 14 | 36:47 | 47 |
| დეპორტივო | 34 | 11 | 12 | 11 | 37:37 | 45 |
| სარაგოსა | 35 | 11 | 11 | 13 | 43:52 | 44 |
| სალამანკა | 35 | 11 | 8 | 16 | 41:42 | 41 |
| რასინგი | 35 | 11 | 8 | 16 | 43:53 | 41 |
| ტენერიფე | 35 | 9 | 11 | 15 | 38:54 | 38 |
| ოვიედო | 35 | 8 | 13 | 14 | 33:46 | 37 |
| კომპოსტელა | 35 | 9 | 10 | 16 | 46:61 | 37 |
| მერიდა | 35 | 9 | 10 | 16 | 33:51 | 37 |
| სპორტინგი | 35 | 2 | 6 | 27 | 29:73 | 12 |

### მეორე დივიზიონი

39-ე ტური. ორენსე — სერესი 1:2; რაიო — ლეგანესი 0:1; ერკულესი — ალავესი 1:1; ნუმანსია — ხაენი 2:2; ლეიდა — ელჩე 1:0; ლას პალმასი — ესტრემადურა 2:1; ეიბარი — ბადახოსი 3:1; ალბასეტე — ლოგრონიესი 1:2; ტოლედო — სევილია 1:0; ვილიარეალი — ატლეტიკო 1:1; ოსასუნა — ლევანტე 0:1

## შვეიცარია

მე-9 ტური. ლოზანა — ლუცერნი 2:0; სიონი — გრასჰოპერი 1:2; ციურიხი — სერვეტი 1:1; არაუ — სტ. გალენი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 9 | 6 | 1 | 2 | 25:12 | 42 |
| სერვეტი | 9 | 5 | 4 | 0 | 13:5 | 39 |
| ციურიხი | 9 | 5 | 3 | 1 | 18:10 | 33 |
| ლოზანა | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | 30 |
| სენტ გალენი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:11 | 27 |
| სიონი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:15 | 24 |
| არაუ | 9 | 1 | 2 | 6 | 10:17 | 23 |
| ლუცერნი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:19 | 21 |

## საფრანგეთი

XXXII ტური

**ლანსი 5:1 ბასტია**

1:0 ვერელე (14), 1:1 პერესი (48), 2:1 შმიცერი (57), 3:1 ვერელე (59), 4:1 დრობნიაკი (69პ), 5:1 ვერელე (89)

**ტულუზი 0:1 მეცი**

0:1 მირე (57)

**მარსელი 0:0 სტრასბური**

**გინგამი 1:2 ლე ავრი**

0:1 ჟსმენი (32), 1:1 მორეირა (41), 1:2 პოჟე (87)

**პსჟ 1:2 მონაკო**

1:0 დუკრუა (24), 1:1 იკპება (27), 1:2 ტრეზეგე (90)

**ბორდო 1:0 შატორუ**

1:0 მიკუ (11)

**ლიონი 2:0 კანი**

1:0, 2:0 ბრავო (78, 80)

**ნანტი 1:1 რენი**

1:0 სიმბა (44), 1:1 ბინო (48)

**მონპელიე 1:1 ოსერი**

1:0 რობერი (4), 1:1 მარლე (42)

მალე ჩემპიონიც გაირკვევა. „ლანსი" თუ „მეცი"? ძნელი სათქმელია, ჯერჯერობით კი წინ ლანსელები არიან.

ქვეყნის ამ პირველობამ ყველაზე საინტერესოდ ჩაიარა. პირველ წრეში თითქმის ყოველ მეორე ტურში იცვლებოდნენ ლიდერები. მაგრამ მერე ზოგიერთმა წინ და უკან მოძრაობა შეწყვიტა. საბოლოოდ ყველაფერი ჩემპიონატის მიწურულს გაირკვევა. ისე კი არც „ლანსი" და არც „მეცი" აქამდე საფრანგეთის ჩემპიონები არ ყოფილან.

— ჩვენ გვწამს, რომ ჩემპიონები გავხდებით და მთავარი ესაა. ძალგვიძს პირველობის მოგება. და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ტურში რთული მატჩი მოგველის ოსერში, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და, ალბათ, გასაკეთებელს კიდეც გავაკეთებთ. „ლანსი" ღირსია, ქვეყნის ჩემპიონი გახდეს — ლიდერთა ჩეხი თავდამსხმელი ვლადიმირ შმიცერი, რომლის გოლმაც ჩეხებს ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატის ქვეჯგუფიდან გასვლა გაუნაღდა, კორსიკელთა ნგრევით გამოწვეულ სიხარულს ვერ მალავდა.

# ან ერთი, ან მეორე

„ბასტია" ლანსში პირისაგან მიწისა აღიგავა. იმ დღეს ფეხბურთს მხოლოდ მასპინძლები თამაშობდნენ, ნირწამხდარი სტუმრები კი მხოლოდ ხელის შეშლას ცდილობდნენ. ვაგლახ, რომ არ გამოუვიდათ. ტონი ვერელემ „ბასტიას" საქმე მოუთავა. ჰეთ-თრიქი და ამასთან ერთად კიდევ ორი მასპინძლის გოლი კუნძულელი სტუმრების გასანადგურებლად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. ისე, ხუთი გოლი, ნეტავ, ვის გასანადგურებლად არაა საკმარისი?

— შესანიშნავი გამარჯვება მოვიპოვეთ. გვჯეროდა „ბასტიას" დამარცხების მწამდა და აგვიხდა კიდეც წინ „ოსერია". იმედია, ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ლანსის" რისხვას ვერც ექსჩემპიონები (ოსერი) გადაურჩებიან — ბასტიელთა სამჯერ დამლახვრელ ტონი ვერელეს, ბევრი თანაგუნდელის დარად, ჩემპიონობა აბოდებს.

იქნებ „ლანსს" ქვეყნის ჩემპიონის ტიტული პირველობის გასრულებამდეც გაენაღდებინა, მაგრამ უშუალო კონკურენტმა „მეცმა" მინიმალურად სძლია „ტულუზი". ფრედერიკ მიურეის დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესად დარტყმული, თბილისთან დაძმობილებულ ქალაქის, ტულუზის, ამავე სახელწოდების გუნდის მეკარე ჟოსედინისთვის აუღებელი გამოდგა. სამი ქულა და ჩემპიონობის მოპოვების შენარჩუნებული შანსები — აი ყველაფერი ის, რაც „მეცმა" ამ გამარჯვებით მოიპოვა.

— „ლანსს" ჩემპიონობის მეტი შანსი აქვს, მაგრამ რადგან წინ კიდევ ბოლო ტურია, იმედს არ ვკარგავთ. ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მით უმეტეს, ლიდერებს ოსერში მოგება სულაც არ აქვთ გარანტირებული, ჩვენ კი „ლიონს" შინ ვმასპინძლობთ. მოკლედ, ჩემპიონი ბოლო ტურში გაირკვევა, მე კი დიდი სურვილი მაქვს, პირველები ჩვენ გავხდეთ — იმედიანადაა „მეცის" თავდამსხმელი და ამავდროულად ფრანგთა ნაკრების ფორვარდი რობერტ პირესი.

ერთი სიტყვით, ერთობ დაძაბული საფრანგეთის ჩემპიონატის გამარჯვებული ბოლო ტურში გაირკვევა — ან „ლანსი", ანაც „მეცი".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 33 | 21 | 4 | 8 | 54:29 | 67 |
| მეცი | 33 | 19 | 8 | 6 | 47:28 | 65 |
| მარსელი | 33 | 16 | 8 | 9 | 46:26 | 56 |
| მონაკო | 33 | 17 | 5 | 11 | 46:31 | 56 |
| ბორდო | 33 | 15 | 11 | 7 | 47:36 | 56 |
| ლიონი | 33 | 16 | 5 | 12 | 39:36 | 53 |
| ოსერი | 33 | 14 | 8 | 11 | 54:44 | 50 |
| პსჟ | 33 | 14 | 8 | 11 | 42:33 | 50 |
| ბასტია | 33 | 12 | 11 | 10 | 34:30 | 47 |
| ლე ავრი | 33 | 10 | 13 | 10 | 37:34 | 43 |
| ნანტი | 33 | 11 | 8 | 14 | 34:39 | 41 |
| მონპელიე | 33 | 10 | 11 | 12 | 32:39 | 41 |
| ტულუზი | 33 | 9 | 9 | 15 | 25:45 | 36 |
| სტრასბური | 33 | 8 | 10 | 15 | 36:43 | 34 |
| რენი | 33 | 8 | 9 | 16 | 35:48 | 33 |
| გინგამი | 33 | 8 | 8 | 17 | 27:40 | 32 |
| კანი | 33 | 7 | 7 | 19 | 31:56 | 28 |
| შატორუ | 33 | 7 | 7 | 19 | 29:58 | 28 |

## ავსტრია

31-ე ტური. გრაცი — რიდი 3:0; ტიროლი — აუსტრია 2:0; ლინცი — ზალცბურგი 0:2; რაპიდი — ადმირა ვაკერი 2:0; ლუსტენაუ — შტურმი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 31 | 23 | 7 | 1 | 76:21 | 76 |
| რაპიდი | 31 | 15 | 7 | 9 | 35:34 | 52 |
| გრაცი | 31 | 15 | 6 | 10 | 45:28 | 51 |
| ლინცი | 31 | 14 | 4 | 13 | 54:46 | 46 |
| ტიროლი | 31 | 11 | 10 | 10 | 42:42 | 43 |
| ზალცბურგი | 31 | 11 | 8 | 12 | 38:32 | 41 |
| აუსტრია | 31 | 10 | 8 | 13 | 36:46 | 38 |
| რიდი | 31 | 9 | 7 | 15 | 33:48 | 34 |
| ლუსტენაუ | 31 | 5 | 12 | 14 | 29:49 | 27 |
| ადმირა ვაკერი | 31 | 5 | 5 | 21 | 31:73 | 20 |

## შოტლანდია

34-ე ტური. სელტიკი — ჰიბერნიანი 0:0; დანდი იუნაიტედი — სენტ ჯონსტონი 0:2; ჰართსი — რეინჯერსი 0:3; კილმარნოკი — აბერდინი 2:1; მოზერველი — დანფერმლაინი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 34 | 21 | 7 | 6 | 61:23 | 70 |
| რეინჯერსი | 34 | 20 | 9 | 5 | 74:36 | 69 |
| ჰართსი | 34 | 18 | 9 | 7 | 66:44 | 63 |
| კილმარნოკი | 34 | 12 | 10 | 12 | 38:51 | 46 |
| სტ ჯონსტონი | 34 | 12 | 9 | 13 | 35:38 | 45 |
| დანფერმლაინი | 34 | 8 | 12 | 14 | 42:65 | 36 |
| აბერდინი | 34 | 8 | 11 | 15 | 35:50 | 35 |
| დანდი იუნ. | 34 | 7 | 13 | 14 | 40:48 | 34 |
| მოზერველი | 34 | 9 | 7 | 18 | 43:59 | 34 |
| ჰიბერნიანი | 34 | 6 | 11 | 17 | 36:56 | 29 |

## რუსეთი

მე-5 ტური. ჩერნომორეცი — როსტსელმაში 1:1; ზენიტი — შინიკი 3:0; ლოკომოტივი — როტორი 0:1; დინამო — ტორპედო 0:0; ჟემჩუჟინა — ცსკა 2:1; ალანია — სპარტაკი 2:1; ურალანი — ტიუმენი 2:1; კრილია სოვეტოვი — ბალტიკა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 13 |
| როტორი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:6 | 11 |
| ზენიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| როსტსელმაში | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 9 |
| ჩერნომორეცი | 5 | 1 | 4 | 0 | 6:5 | 7 |
| ურალანი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ბალტიკა | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| კრილია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ჟემჩუჟინა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| შინიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:9 | 5 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 4 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ტიუმენი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| ტორპედო | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | 3 |
| დინამო | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| ცსკა | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |

## ბელგია

31-ე ტური. ეკერენი — ვესტერლო 1:0; ლოკერენი — ჰარელბეკე 1:0; შარლერუა — ბევერენი 0:0; მუსკრონი — ანტვერპენი 2:0; სტანდარდი — მოლენბეკი 4:0; გენტი — ლომელი 2:0; აალსტი — სენტ ტრიუდენი 3:2; გენკი — ლიერსი 1:3; ანდერლეხტი — ბრიუგე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 31 | 24 | 5 | 2 | 67:27 | 77 |
| გენკი | 31 | 19 | 6 | 6 | 63:34 | 63 |
| ეკერენი | 31 | 17 | 6 | 8 | 56:41 | 57 |
| ანდერლეხტი | 31 | 14 | 8 | 9 | 49:35 | 50 |
| ჰარელბეკე | 31 | 13 | 10 | 8 | 45:29 | 49 |
| ლოკერენი | 31 | 15 | 4 | 12 | 62:60 | 49 |
| ლიერსი | 31 | 13 | 7 | 11 | 50:41 | 46 |
| გენტი | 31 | 10 | 13 | 8 | 43:38 | 43 |
| სტანდარდი | 31 | 10 | 10 | 11 | 48:43 | 40 |
| ლომელი | 31 | 10 | 8 | 13 | 44:48 | 38 |
| ვესტერლო | 31 | 8 | 12 | 11 | 45:51 | 36 |
| აალსტი | 31 | 9 | 9 | 13 | 47:57 | 36 |
| სტ ტრუიდენი | 31 | 8 | 11 | 12 | 29:36 | 35 |
| მუსკრონი | 31 | 9 | 8 | 14 | 34:42 | 35 |
| შარლერუა | 31 | 8 | 10 | 13 | 40:53 | 34 |
| ბევერენი | 31 | 6 | 10 | 15 | 26:46 | 28 |
| მოლენბეკი | 31 | 6 | 6 | 19 | 31:71 | 24 |
| ანტვერპენი | 31 | 5 | 7 | 19 | 33:60 | 22 |

## პორტუგალია

31-ე ტური. კამპომაიორენსე — ფარენსე 5:2; ბელენენსეში — რიუ ავე 2:4; სეტუბალი — ბრაგა 5:1; ლეცა — შავეში 0:1; ამადორა — გიმარაეში 0:1; პორტუ — ბოავიშტა 3:2; ვარზიმი — ბენფიკა 0:0; მარიტიმუ — სალგეირუში 1:4; აკადემიკა — სპორტინგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 31 | 23 | 5 | 3 | 66:30 | 74 |
| ბენფიკა | 31 | 18 | 8 | 5 | 52:26 | 62 |
| გიმარაეში | 31 | 15 | 7 | 9 | 37:22 | 52 |
| სპორტინგი | 30 | 14 | 9 | 7 | 41:28 | 51 |
| ბოავიშტა | 31 | 13 | 10 | 8 | 46:29 | 49 |
| ამადორა | 31 | 13 | 8 | 10 | 39:35 | 47 |
| მარიტიმუ | 31 | 13 | 8 | 10 | 35:33 | 47 |
| რიუ ავე | 31 | 12 | 9 | 10 | 41:36 | 45 |
| სალგეირუში | 31 | 11 | 10 | 10 | 41:35 | 43 |
| სეტუბალი | 31 | 10 | 7 | 14 | 36:37 | 37 |
| კამპომაიორენ. | 31 | 10 | 7 | 14 | 49:53 | 37 |
| ლეცა | 31 | 10 | 7 | 14 | 28:42 | 37 |
| ბრაგა | 31 | 8 | 12 | 11 | 39:47 | 36 |
| ფარენსე | 31 | 6 | 13 | 12 | 38:49 | 31 |
| აკადემიკა | 30 | 7 | 10 | 13 | 23:37 | 31 |
| ვარზიმი | 31 | 6 | 11 | 14 | 25:43 | 29 |
| შავეში | 31 | 8 | 4 | 19 | 28:54 | 28 |
| ბელენენსეში | 31 | 4 | 9 | 18 | 21:49 | 21 |

## ალბანეთი

28-ე ტური. ტომორი — დინამო 2:0, ბესა — შკიპონია 5:0, ლაჩი — ვლაჟნია 0:0, ბილიში — ლუშნია 2:1, ტირანა — ფლამურტარი 1:0, შკენდერბო — პარტიზანი 0:0, ტეუტა — ალბპეტროლი 6:1, შკუმბინი — აპოლონია 2:0, სოპოტი — ელბასანი 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაჟნია | 28 | 19 | 5 | 4 | 32:19 | 62 |
| ტირანა | 28 | 16 | 8 | 4 | 47:15 | 56 |
| პარტიზანი | 28 | 17 | 3 | 8 | 47:17 | 54 |
| ტეუტა | 28 | 15 | 2 | 11 | 34:28 | 47 |
| შკუმბინი | 28 | 14 | 3 | 11 | 46:33 | 45 |
| ლაჩი | 28 | 14 | 3 | 11 | 39:29 | 45 |
| აპოლონია | 28 | 12 | 7 | 9 | 31:25 | 43 |
| ელბასანი | 28 | 12 | 4 | 12 | 36:23 | 40 |
| ბილიში | 28 | 11 | 6 | 11 | 35:28 | 39 |
| ტომორი | 28 | 12 | 2 | 14 | 30:39 | 38 |
| შკენდერბო | 28 | 10 | 6 | 12 | 29:37 | 36 |
| ლუშნია | 28 | 10 | 5 | 13 | 41:34 | 35 |
| ფლამურტარი | 28 | 9 | 7 | 12 | 31:36 | 34 |
| ბესა | 28 | 9 | 5 | 14 | 39:43 | 32 |
| დინამო | 28 | 8 | 8 | 12 | 24:30 | 32 |
| შკიპონია | 28 | 9 | 3 | 16 | 27:53 | 30 |
| სოპოტი | 28 | 8 | 5 | 15 | 30:51 | 29 |
| ალბპეტროლი | 28 | 4 | 1 | 20 | 17:75 | 16 |

პლეი ოფი. პირველი წრე

# ყოჩაღ, ცხოველო!

### დასავლეთი

**ლეიკერსი 104:102 პორტლენდი**

პორტლენდელებმა — დეიმონ სტუდემაიერმა და აიზია რაიდერმა უკანასკნელი ერთი კვირა ლეიკერსელთა განქიქებას მოანდომეს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერც ლოსანჯელესელთა სუპერცენტრ ონილსა (30 ქულა) და ვერც ამათ ვუნდერკინდ კობი ბრაიანტს (ბოლო რვა წუთში 11 ქულა) ვერაფერი მოუხერხეს.

სერიის ანგარიში 1:0

**სიეტლი 108:83 მინესოტა**

სეიტლში სეზონის დასაწყისში გადაბარგებულმა ვინ ბეიკერმა თავის საპლეიოფო დებიუტში 25 ქულა მიითვალა, „ზებგერითებს" კი იმედი გაუჩინა, რომ პირველ წრეს ზედმეტი ენერგიის დაუხარჯავად გადალახავენ.

სერიის ანგარიში 1:0

**ჩიკაგო 96:93 ნიუ ჯერსი**

ოვერტაიმი

ნიუ ჯერსიმ, რომელზეც მაიკლ ჯორდანმა (39 ქულა) ბრძანა, თუ დავიძინებთ, თორემ ჩვენი მომგებები ისე არ არიანო, NBA-ს ხუთგზის ჩემპიონები გვარიანად გააწვალა. ნეთსს ცერმოტეხილმა ჯეისონ უილიამსმა 21 მოხსნა შეაწია, მაგრამ მუცლის გვრემამ ამათი ლიდერი კიტ ვან ჰორნი მეორე ნახევარში სათადარიგოთა სკამიდანაც კი გააქცია და მასზე მეტი არც ძირითად გამთამაშებელ სემ კასელს უთამაშია.

სერიის ანგარიში 1:0

**მაიამი 94:79 ნიუ იორკი**

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ მეტოქეთა შეხვედრას არც ტექნიკური ჯარიმების წვიმა მოჰყოლია და არც გაწევ-გამოწევები — მაიამიმ ტიმ ჰარდევეის 34 ქულის წყალობით მშვიდად და იოლად გაიმარჯვა.

სერიის ანგარიში 1:0

**იუტა 105:90 ჰიუსტონი**

იუტამ პირველ შეხვედრაში განცდილი მტკივნეული მარცხისთვის დამაჯერებელი რევანში აიღო, რისთვისაც ჩარლზ ბარკლის, კლაიდ დრექსლერის და ჰიუსტონელთა თავკაც რუდი ტომიანოვიჩის ტექნიკურ ჯარიმებსა და მეოთხე მეოთხედში ჰაკიმ ოლაჯუონის თამაშიდან გაგდებას ხელი ნამდვილად არ შეუშლია.

სერიის ანგარიში 1:1

**ფინიქსი 108:101 სან ანტონიო**

პირველი შეხვედრის გმირს — სანანტონიოელ ახალბედა ტიმ დანკანს ფინიქსის მცველებმა ამჯერად სამაგალითოდ უმეთვალყურეს, წინა მატჩის მონაგარიც გაანახევრებინეს (16) და ბურთიც ექვსჯერ დააკარგვინეს. გამარჯვება კი მასპინძლებს მარკ ბრაიანტის ბოლო 20 წამში ჩაგდებულმა ოთხმა საჯარიმომ გაუფორმა.

სერიის ანგარიში 1:1

### აღმოსავლეთი

**შარლოტი 92:85 ატლანტა**

შარლოტელთა ლიდერმა გლენ რაისმა 5 ჯარიმის გამო თითქმის მთელი მეოთხე მეოთხედი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, მაგრამ ატლანტელებს მის არყოფნაში ენტონი მეისონმა მოუღო ბოლო (25 ქულა). ეს უკანასკნელი რაისმა მატჩის შემდეგ მეტად ორიგინალურად შეაქო — მეისონი ცხოველია, მაგისგან არაფერი მიკვირსო.

სერიის ანგარიში 2:0

**ინდიანა 92:86 კლივლენდი**

კლივლენდელებს გულს ის თუ გამოუკეთებთ, რომ პირველი მატჩის 39-ქულიანი ჩამორჩენა ამჯერად ექვსამდე შეამცირეს, თორემ მარტო ორი კაცი — შონ კემპი (27 ქულა) და ჟიდრუნას ილგაუსკასი (25) ინდიანასთანა გუნდთან რას გახდებოდა.

სერიის ანგარიში 2:0

**ირაკლი ფირაშვილი**

პლეი ოფი. პირველი წრე

# შარშანდელი ჩემპიონი ტურების ყბაში ჩავარდა

### დასავლეთი

**დეტროიტი 4:7 ფინიქსი**

მატჩში ერთბაშად სამმა „კოიოტმა" — ტკაჩუკმა, რენიკმა და ტოშემ გააზერხეს დუბლი და სტენლის თასის შარშანდელ მფლობელს ძველი მეკარის, მაიკ ვერნონის გაშვება და კრის ოსგუდის (28 დარტყმა — 21 მოგერიება) ამარა დარჩენა მწარედაც ანანეს.

სერიის ანგარიში 1:1

**დალასი 5:2 სან ხოსე**

ისე, არც ახალ გუნდში გადასულ შარშანდელი პლეი ოფის უძვირფასეს მოთამაშეზე, ზემოხსენებულ მაიკ ვერნონზე ითქმის, ციდან ვარსკვლავები ჩამოკრიფაო. ექს-დეტროიტელმა ათიდან მხოლოდ ექვსი დარტყმა მოიგერია და მესამე პერიოდში სათადარიგო მეკარეს დაუთმო ადგილი.

სერიის ანგარიში 2:0

**კოლორადო 5:2 ედმონტონი**

პირველ მატჩში სენსაციური მარცხისა და დაჟეჟილი გვერდებისთვის კოლორადოელთა ლიდერმა პეტერ ფორსბერგმა თავად იძია შური — თავისი გუნდის ყველა საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა (2 გოლი + 3 პასი). თანაც, ეტყობა, ამათ მეკარეს — სახელოვან პატრიკ რუასაც მობეზრდა იოლი შაიბების გაშვება.

სერიის ანგარიში 1:1

**სენტ ლუისი 2:1 ლოს ანჯელესი**

მეტად უხვგოლიანი პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, ამჯერად მატჩის ბედი სენტლუისელთა სასარგებლოდ მხოლოდ მესამე პერიოდში, უმრავლესობაში კემპბელის მიერ გატანილმა გოლმა გადაწყვიტა, ჯეფ კურტნოლს კი ერთი ქულაც არ მიუთვლია.

სერიის ანგარიში 2:0

### აღმოსავლეთი

**ნიუ ჯერსი 3:1 ოტავა**

სენატორებმა ანგარიშის გახსნა ამჯერადაც მოახერხეს, მაგრამ ნიუჯერსელმა ვეტერანმა დუგ გილმორმა ჩემპიონობის ერთ-ერთ ძირითად ფავორიტს 2 გოლი და პასი „შეაწია", ამათგან ერთი ცარიელ კარში და ოტაველებს სერიაში ანგარიში გაუთანაბრა.

სერიის ანგარიში 1:1

**ფილადელფია 3:2 ბუფალო**

ბუფალოელებს ვერც მათი მეკარესაოცრების — ჩეხი დომინიკ ჰაშეკის 35-მა მოგერიებულმა შაიბამ უშველა და ვერც მესამე პერიოდის დასაწყისში ორბურთიანი ჩამორჩენის ანაზღაურებამ.

სერიის ანგარიში 1:1

**ვაშინგტონი 3:4 ბოსტონი**

ორი ოვერტაიმი

გამარჯვების გოლი ბოსტონელთაგან მეორე ოვერტაიმის პირველ წუთზე რეგულარულ ჩემპიონატში ბევრით არაფრით გამორჩეულმა თავდამსხმელმა ვან იმპემ გაიტანა.

სერიის ანგარიში 1:1

**პიტსბურგი 4:1 მონრეალი**

სახელოვანი წარსულის მქონე გუნდების პაექრობაში მატჩის ბედი პიტსბურგელი ბარნსის გატანილმა ორმა გოლმა გადაწყვიტა.

სერიის ანგარიში 1:1.

**სამველ ლარიბიანი**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29